სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/96 **ბრძანება** 25.10.2021 2021 წელი

დავალიანებაში დარჩენილ სასწავლო კურსებზე
სტუდენტთა რეგისტრაციის შესახებ, ვბრძანებ:

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დავალიანებაში დარჩენილ სასწავლო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია შეწყდეს ელექტრონულ დეკანატში 2021 წლის 25 ოქტომბრიდან.
2. დევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს (ო. შენგელია, ქ. ჭელიძე) შეუწყვიტოს სტუდენტებს დავალიანებაში დარჩენილ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის საშუალება ელექტრონულ დეკანატში.
3. სტუდენტთა მიერ დავალიანებაში დარჩენილ და განსხვავებულ სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია განხორციელდეს სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე (განცხადებას თან უნდა ახლდეს ასათვისებელი კრედიტის შესაბამისი საფასურის გადახდის ქვითრის ასლი, გარდა 2021-2022 სასწავლო წლის VIII სემესტრის სტუდენტებისა) სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურში, ან ელექტრონულად ელ. ფოსტაზე info.students@atsu.edu.ge არა უგვიანეს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის მანძილზე.
4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდეს სტუდენტთა რეგისტრაცია დავალიანებაში დარჩენილ და განსხვავებულ სასწავლო კურსებზე.ელექტრონულ დეკანატში ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.
5. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, ენათა ცენტრის ხელმძღვანელთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
6. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: ფაკულტეტის დეკანებისა და ენათა ცენტრის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათები.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ასოც. პროფესორი შალვა კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფესორი იმერ ბასილაძე